ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 4 აპრილი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორის გელა დუნდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „არტ ალიანს ირიდა", მისი დირექტორის გივი მესხის სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

„შემსყიდველი" ა(ა)იპ ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნებს,ფირნიშები და მათთან დაკავშირებული პროდუქტების მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

შესყიდვის კატეგორია - **44400000-<u>სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნების მომსახურებები</u>.**

კლასიფიკატორის (CPV) **-44423400-ფირნიშები და მათთან დაკავშირებული პროდუქტები.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **3000 (სამი ათასი)** ლარს (იხ.დანართი №1), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან,

სამი-შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი:	შპს „არტ ალიანს ირიდა" დირექტორი:
გელა დუნდუა	გივი მესხი
მის: ქ. ფოთი ჭანტურიას 3 სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი 742857499 ს/კ №415092919	მის: ქ. ფოთი, წმ.ნინოს ქ. №4 სს „პროკრედიტ ბანკი" MIBGGE22 ბ/კMIBGGE22 ა/ა GE65PC0403600100001758 ს/კ 215147543

დანართი №1

სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა მათთან დაკავშირებული საგნები

ფასების ცხრილი

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	სახელიანი ფირფიტები	6000	0.34	2040
2	აბრები	16	50	900
3	აბრები	2	30	60
	სულ			3000

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოებს მოვლა-პატრონობის
ცენტრის დირექტორი:

გელა დუნდუა

მის: ქ. ფოთი ჭანტურიას 3
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 742857499

ს/კ №415092919

„მიმწოდებელი"

შპს „არტ ალიანს ირიდა"
დირექტორი:

გივი მესხი

მის: ქ. ფოთი, წმ.ნინოს ქ. №4
სს „პროკრედიტ ბანკი" MIBGGE22
ბ/კMIBGGE22
ა/ა GE65PC0403600100001758
ს/კ 215147543